ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№52

ქ. თბილისი; 8 ნოემბერი, 2019 წ. 11 : 00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლუკა ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
გიორგი ჩაკვეტაძე
თინათინ ნიბლოშვილი
წიწო რუხაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
ქეთევან მამულაშვილი
ელენე ოზაშვილი
ლილე ლიპარტელიანი

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი - ირაკლი თავართქილაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსი - ნინო კვეტენაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი - გაიოზ თალაკვაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - ლევან მიქავა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი - გიორგი ებანოიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - ჯუმბერ ყანდარელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის იურისტი - მარიამ თავაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - ბაჩო აბულაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე - მერაბ მამულაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი - სერგო ბირკაძე

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N34-115 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

2. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის #39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის N28-96 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-49 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

9. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

10. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებაროვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონების მართვის სააგენტოს ძიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-74 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტი.

12. “ქ. თბილისში, სოფ. აგარაკი, აგარაკის ქ. №6-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: №72.16.28.180) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

13. “ქალაქ თბილისში, დიღმის მასივში, ლუბლიანას ქუჩა N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.02.005.003.01.510) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

14. “ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, ზემო პლატოს II მიკრორაიონის კორპუს N19-ში (ნაკვეთი 07/029) (საკადასტრო კოდი: N01.19.20.007.029.01.016) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

15. “ქალაქ თბილისში, ოცხელის ქუჩა N4-ში (საკადასტრო კოდი: N01 19 33.002.017.01.021) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

16. „ქალაქ თბილისში, ელეფთერ ანდრონიკაშვილის I შესახვევის N47-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.03.011.002) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

17. "ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა N35-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.084.01.519) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

18. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი დასახლებაში, III მასივის I კვარტალის კორპუს N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.029.002) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

19. "ქალაქ თბილისში, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N33/ქალაქ თბილისში, ალ. ჭავჭავაძის ქუჩა N8-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.05.011.003.01.556) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

20. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება, III მასივის IV კვარტალის კორპუს N5 ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.023.014.01.033) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

21. "ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, სატყეოს ქუჩა N4-ში (საკადასტრო კოდი: N81.01.06.519.01.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

22. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

23. "ქალაქი თბილისი, ვარკეთილის დასახლება, მასივი III, კვარტალი X, ქუჩა კალოუბანი, კორპუსი #15-ის მიმდებარედ სკვერში არსებული 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.028.190) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

24. „ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრო/რაიონში (ს/კ: № 01.11.12.002.061.01.502) მდებარე 181.13 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია"-სთვის (ს/კ: 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

25. „ქალაქ თბილისში, 26 მაისის მოედანი №2-ის მიმდებარედ არსებული 158 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.10.17.036.047) 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ფასანაური 2016"-ისთვის" (ს/ნ: 405141029) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

26. "ქალაქ თბილისში, ს. ცინცაძის ქ. №12-ის მიმდებარედ არსებული 524 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.10.17.005.036) 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კოფი დისტრიბიუშენ ჯორჯიასთვის" (ს/ნ: 405283928) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

27. „ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა №7-ის მიმდებარედ არსებული 221 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.18.03.062.008) 5კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გალენისთვის" (ს/ნ: 404497665) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა - **გაიოზ თალაკვაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის **N34-115** დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლმა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ცვლილებების პროექტი წარადგინა. როგორც **გაიოზ** თალაკვაძემ განაცხადა, წარმოდგენილი ცვლილებების შესაბამისად, დედაქალაქის ბიუჯეტი 100 000,0 ათასი ლარით, ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოყოფილი ტრანსფერის ხარჯზე იზრდება. მისივე თქმით, ცვლილების პროექტი ითვალისწინებს ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილში ვალდებულებების ზრდის გეგმით გათვალისწინებული 74 820,0 ათასი ლარის შემცირებას.

გაიოზ თალაკვაძის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **2019 წლის ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 25 180,0 ათასი ლარით** და **1 100450,8** ათასი ლარით განისაზღვრება. მისივე თქმით, წარმოდგენილი ცვლილებების პროექტში გათვალისწინებულია ქ.თბილისის მერიის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციის დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები, რაც ხორციელდება მიმდინარე პერიოდში ჩატარებული ტენდერებიდან მიღებული ეკონომიებისა და სხვადასხვა პროგრამებში/ქვეპროგრამებში გამოთავისუფლებული რესურსების ხარჯზე.

მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ ბიუჯეტის მოცულობის ზრდისა და მოძიებული რესურსის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდება სხვადასხვა პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე პრიორიტეტების შესაბამისად.

მომხსენებელმა ასევე დაწვრილებით ისაუბრა, წარმოდგენილი ცვლილების პროექტით გათვალისწინებულ იმ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, რომელთა ასიგნებები მცირდება.

საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ იზრდება ა(ა)იპ თბილისის განვითარების ფონდის მომუშავეთა რიცხოვნობა 4 ერთეულით და სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა 9 ერთეულით, ხოლო ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მომუშავეთა რიცხოვნობა მცირდება 5 ერთეულით, შესაბამისად ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა ჯამურად გაიზარდა 8 ერთეულით ერთეულით.

როგორც **მომხსენებელმა** განაცხადა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა **1 038 300,5** ათასი ლარის ოდენობით, ნაშთის ცვლილება **62 150,3** ათასი ლარით, ხოლო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა **1 010 200,5** ათასი ლარით.

დასასრულს, **გაიოზ** თალაკვაძემ აღნიშნა, რომ 2019 წლისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 51 847,5 ათასი ლარით.**

აზრი გამოთქვეს:

ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი" წევრმა - **ელენე ოზაშვილმა,** მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა და დაინტერესდა, რამ განაპირობა გლდანისა და მთაწმინდის რაიონში უფასო სასადილოებით მომსახურებისთვის გამოყოფილი თანხების შემცირება.

გაიოზ თალაკვაძემ უპასუხა ქალბატონ ელენეს და განმარტა, რომ აღნიშნულ რაიონებში უფასო სასადილოებით მომსახურებისთვის გამოყოფილი თანხების შემცირება ხორციელდება დარჩენილი ეკონომიების ხარჯზე.

ქალბატონმა ელენემ ასევე დასვა შეკითხვა, „C" ჰეპატიტის დიაგნოსტიკისთვის გამოყოფილი თანხების შემცირებასთან დაკავშირებით.

მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ „C" ჰეპატიტის დიაგნოსტიკისთვის გამოყოფილი თანხების მცირდება, აშნიშნულ პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების შემცირებიდან გამომდინარე.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ - **ლევან ჟორჟოლიანმა** შეკითხვა დასვა, სარეზერვო ფონდის ზრდასთან დაკავშირებით.

საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ სარეზერვო ფონის გაზრდა დაკავშირებულია, ბოლო დროს მომხდარ უბედურ შემთხვევებთან. გაზრდილი თანხები ესაჭიროება, დაზარალებული ოჯახების დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფასა და ასევე ზარალის ანაზღაურებას.

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია დადგენილების პრეამბულაში, მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" **61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.** აგრეთვე, სასურველია, დადგენილების პროექტის სამართლებრივი საფუძვლების ნაწილში მიეთითოს **„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტი.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი" წევრმა - **ელენე ოზაშვილმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა - **გიორგი ებანოიძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუხიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის **N14-39** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, დედაქალაქის წინაშე არსებული გამოწვევები მოიცავს იმ ტერიტორიებს, სადაც განაშენიანების რეგულირების გეგმა დამტკიცებულია, თუმცა მათი ქალაქგეგმარებითი გადაწყვეტა ცალსახად საჭიროებს გაუმჯობესებას. მისივე თქმით, მუნიციპალიტეტისათვის გამარტივებული წესით უნდა იყოს შესაძლებელი გაუმჯობესებული ქალაქგეგმარებითი გადაწყვეტის მიღება და სწორად ამას ემსახურება საკრებულოს **N14-39** დადგენილებაში განსახორციელებელი ცვლილებები.

მომხსენებლის თქმით, ცვლილებების შესაბამისად, უფრო ფართო ხდება საცხოვრებელი ზონა 1-ის, საცხოვრებელი ზონა 2-ისა და საცხოვრებელი ზონა 3-ის რეგლამენტები. თითოეულ ამ ზონაში დასაშვები ხდება სპორტული დარბაზის განთავსება.

როგორც საკითხის წარმომდგენმა განმარტა, წარმოდგენილი ცვლილებებით ზუსტდება განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის „გაშუალედებასთან" დაკავშირებით არსებული რეგულაცია, ასევე ზუსტება ხაზობრივ ნაგებობებთან დაკავშირებული რეგულაცია. სარეკრეაციო ზონა 1-ისა, ტზ-1-ისა და ტზ-2-ის რეგულაციები. სარეკრეაციო ზონა 1 ასევე შესაძლებელია გავრცელდეს განაშენიანებული ტერიტორიების გარეთ არსებულ ტერიტორიებზე, ხოლო ტზ-1-ისა და ტზ-2-ისათვის დასაშვები ხდება მიწისქვეშა ავტოსადგომები. ამასთან, საზოგადოებრივ საქმიან ზონა 3 დასაშვები სახეობების თვალსაზრისით უფრო ფართო ხდება. ვინაიდან მოქმედი განერალური გეგმით აღნიშნული ზონა იმგვარ ტერიტორიებს მოიცავს, სადაც სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტებისა და ავტოგასამართი/აირგასამართი სადგურების/კომპლექსების განსათავსებლად ხელსაყრელია, ამასთანავე ამგვარი ფუნქციები საზოგადოებრივ საქმიან ზონა 3-ში დასაშვები სახეობების - მოლების ფარგლებში აუცილებლად უნდა არსებობდეს.

გიორგი ებანოიძემ ასევე განმარტა, რომ ზუსტდება განაშენიანების რეგულირების წესების მე-19 მუხლით გათვალისწინებული რეგულირება და ტერმინს „ჩამოყალიბებული განაშენიანება" ანაცვლებს „არსებული განაშენიანება". ასევე ზუსტდება განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო არეალის შესახებ არსებული რეგულირება და იგი საპროექტო არეალის 10%-ით განისაზღვრება, კვადრატულობის მითითების გარეშე. ვინაიდან არსებულმა პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ხშირად გრგ-ით განსაზღვრული ურბანული გარემოს გაუმჯობესება შესაძლოა გულისხმობდეს 5000 კვ.მ.-ზე მეტი ოდენობით გრგ-ის ფართობის დაზუსტებას, მნიშვნელოვანია, რომ ამგვარ შესაძლებლობას უშვებდეს კანონმდებლობა.

ბატონმა გიორგიმ განაცხადა, რომ წარმოდგენილი ცვლილებებით ამ დადგენილებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა საპროექტო ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით საკვლევ ტერიტორიასთან კავშირის ჩვენებით წარმოსადგენი ხდება განაშენიანების რეგულირების გეგმის ეტაპზე, ნაცვლად გეგმარებითი დავალებისა.

ასევე, მონუმენტური, სახვითი ხელოვნების ძეგლი (ქანდაკება), ობელისკი, მემორიალური დაფა და სხვა მემორიალური ობიექტი თუ აღნიშნულის განთავსება არ ეწინააღმდეგება ზონის ფუნქციონირებასა და ტერიტორიის ერთიან ქალაქგეგმარებით ხასიათს ხდება ყველა ქვეზონისთვის დასაშვები სახეობა.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია დადგენილების პრეამბულაში სამართლებრივ საფუძვლად მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი. ამასთან, სასურველია წარმოდგენილი პროექტის მე-5 პუნქტი, რომლითაც ყალიბდება მოქმედი წესის მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის „გ", „პ" და "ჟ" ქვეპუნქტები ტექნიკური კუთხით გაიმართოს და ჩაიშალოს ანბანური ქვეპუნქტების სახით.

თავმჯდომარის თქმით, ვინაიდან წარმოდგენილი პროექტით ტერმინს „ჩამოყალიბებული განაშენიანება" ანაცვლებს „არსებული განაშენიანება", მიზანშეწონილია ტერმინი - „ჩამოყალიბებული განაშენიანება" შეიცვალოს მე-19 მუხლის სათაურშიც.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, წარმოდგენილი **მე-9 მუხლის 9[5] და 9[6]** პუნქტების მიხედვით თუკი დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმაში ან გეგმარებით დავალებაში იგეგმება ისეთი ტიპის ცვლილება, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას, გადაწყვეტილება მიიღება ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული პირები მონაწილეობის გარეშე. მისივე თქმით, ასევე შემოთავაზებულია თუ რა მიიჩნევა ამ მუხლის მიზნებისათვის საზოგადოებრივი ინტერესის დაცვად.

კომისიის თავმჯომარემ განმარტა, რომ საზოგადოებრივი ინტერესების დაცვა არ არის მხოლოდ მდგომარეობის გაუმჯობესება და აღნიშნული არის შეფასების საგანი. კომისიის თავმჯდომარემ საზოგადოებრივი ინტერესების დაცვასთან დაკავშირებული კარგი და ცუდი გადაწყვეტილებების განსაზღვრა არასწორად მიიჩნია.

ბატონმა ლევანმა აღნიშნა, ადმინისტრაციულ კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული წარმოების ძირითად პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, რაც გულისხმობს დაინტერესებული პირის შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღოს საკითხის განხილვასა და გადაწყვეტაში, სასურველია წარმოდგენილი დადგენილების პროექტიდან ამოღებული იქნეს **მე-9 მუხლის 9[5]** და **მე-9[6]** პუნქტები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - **სერგო ბირკაძემ** განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული მხარე. მისივე თქმით, **მე-9 მუხლის 9[5]** და **მე-9[6]** პუნქტების შემოთავაზებული რედაქცია დაინტერესებული მხარის ჩართულობას არ კრძალავს და მოთხოვნის შემთხვევაში ასეთი ჩართულობა გარანტირებული იქნება. ბატონმა სერგომ ასევე განმარტა, რომ საუბარია მხოლოდ ისეთ დასაშვებ შემთხვევებზე, როდესაც ჩარევით არანაირი საფრთხე არ შეექმნება დაცულ სიკეთეს და კონკრეტული პირების საკუთრებას.

ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ წევრის - **ლილე ლიპარტელიანის** განმარტებით, აღნიშნული ჩანაწერი ზღუდავს დაინტერესებული პირების შესაძლებლობას, ჩაერთონ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ წარმოებაში, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციულ წარმოების პროცესში ჩართოს დაინტერესებული პირები. ქალბატონი ლილეს თქმით, აღნიშნული ცვლილების დამტკიცების შემთხვევაში თავისი ფრაქციის მხრიდან საკრებულოს დადგენილება გასაჩივრებული იქნება სასამართლოში.

ნინო რუხაძის თქმით, დაინტერესებული პირების ჩართულობა ადმინისტრაციული კოდექსით მოთხოვნილია იმ შემთხვევაში, როდესაც უარესდება პირის მდგომარეობა. თუმცა საზოგადოებრივი ინტერესებისთვის სასარგებლო გადაწყვეტილებების განსაზღვრა საკმაოდ რთულია და შესაძლოა ერთი შეხედვით სასარგებლო გადაწყვეტილებამ, რომელიც მიმართულია საზოგადოებრივი ინტერესების დაცვისკენ, შესაძლოა გამოიწვიოს ცალკეულ პირთა ინტერესების დარღვევა.

დასასრულს, **სხდომის თავმჯდომარემ** აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია წარმოდგენილი პროექტის მე-9 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ წესების დანართი 1-ის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მიეთითოს „ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი (დომინირებული სახეობა)“.

ასევე სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი, წარმოდგენილი პროექტიდან **მე-9 მუხლის 9[5] და მე-9[6] პუნქტების ამოღებასთან დაკავშირებით.**

კომისიის წევრები დაეთანხმნენ თავმჯდომარის წინადადებას, დადგენილების პროექტიდან მე-9 მუხლის 9[5] და მე-9[6] პუნქტების ამოღებასთან დაკავშირებით.

კომისია ასევე დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარის მიერ წარმოთქმულ შენიშვნებს/წინადადებებს.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი“ წევრმა - ელენე ოზაშვილმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა - **გიორგი ებანოიძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის **№39-18** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს **„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილის“** ცვლილებას. მისივე თქმით, ცვლილებები ხორციელდება იმ უზუსტობების აღმოფხვრის მიზნით, რომელებიც გენერალური გეგმის იმპლემენტაციის პროცესში დაიდენტიფიცირდა, კერძოდ:

ხორციელდება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილის“ **50-ე მუხლის მე-3 პუნქტის ამოღება**, რომლის თანახმადაც, სამრეწველო ზონა (ს-1)-ში სასაწყობო, ელექტროსადგურებისა და წყლის რეზერვუარებისათვის განკუთვნილი ობიექტების განთავსება დასაშვები იყო სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე.

ამასთან, რამდენადაც მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით განსაზღვრულია შემდეგი რიგის ღონისძიებები - არეალები („A“, „A1“, „B“, „M“, „MB“), სადაც საამშენებლო განვითარება შეზღუდულია, თუმცა გამონაკლისები დაშვებულია, აღნიშნულ გამონაკლისებში ასევე უნდა იქნას გათვალისწინებული გენერალური გეგმის მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანის შესაძლებლობა. ვინაიდან, ამგვარი მესაკუთრეების განცხადებები არაერთია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს წარმოებაში და „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების დანართიც (რეკომენდაციები) ითვალისწინებს მესაკუთრეთა უფლებების აღდგენას მიწის

ნაკვეთებისათვის ფუნქციური ზონის დაბრუნებით, ამდენად ამგვარი ცვლილების დაშვების შესაძლებლობა უნდა აისახოს ნორმატიულ დონეზე. კერძოდ წარმოდგენილი დადგენილების პროექტით 72-ე მუხლის მე-3 პუნქტში, შედის ცვლილება და ემატება „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც დანართი 1.11-ით (შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკა) განსაზღვრულ არეალებზე დროებითი შეზღუდვის პერიოდში დასაშვები ხდება წინამდებარე დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანა.

ასევე, ცვლილება ეხება 72- მუხლის მე-4 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტს და იცვლება „დიღმის ჭალების“ მიმდებარე არეალის რეგლამენტი, კერძოდ გარდა თემატურ რუკაზე მონიშნული „A“ განაშენიანების რეგულირების გეგმების“ არეალისა, მიწის ნაკვთების სამშენებლოდ განვითარება შესაძლებელი იქნება მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით განსაზღვრული ფუნქციური ზონირების ან განაშენიანების რეგულირების გეგმების შესაბამისად (ამავე განაშენიანების რეგულირების გეგმებით განსაზღვრული ფუნქციური ზონირებით).

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანი დაინტერესდა, გენერალური გეგმის მიღებით, ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანის თაობაზე. თავმჯდომარე დაინტერესდა საკვლევ არეალებში ზონის ცვლილებებთან დაკავშირებით. კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ გენგეგმა იმუშავა მსხვილ მასშტაბებში, შესაბამისად, იმთავითვე მოსალოდნელი იყო ცვლილებების საჭიროება. ბატონმა ლევანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილებები განხორციელება შესაძლებელი ხდება ისეთ ადგილებში, სადაც სამშენებლო განვითარება შეზღუდულია, მათ შორის საკვლევ არეალებში.

თავმჯდომარემ - კომისიის წევრებს თვალნათლივ დაანახა რისკები, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას საკვლევ არეალებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად. მანვე, ისაუბრა აღნიშნულ საკვლევ არეალებში განსახორციელებელი ცვლილებების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.

გიორგი ებანოიძემ დაეთანხმა თავმჯდომარეს იმასთან დაკავშირებით, რომ გენერალურმა გეგმამ იმუშავა მსხვილ მასშტაბებში, რის გამოც ახალი ქალაქგეგმარებიდან გამომდინარე კონკრეტულ პირებს შეეზღუდათ კანონიერი უფლებები. შესაბამისად, მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, შესაძლებელია მსჯელობა ზონის ცვლილებებზე.

დასასრულს, კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ერთის მხრივ, არსებობს გენერალური გეგმით გათვალისწინებული შეზღუდვები, მათ შორის საკვლევ არეალებთან მიმართებაში, ხოლო მეორეს მხრივ, დაზარალებული მესაკუთრის კანონიერი უფლებები. გადაწყვეტილების მიღებამდე, თავმჯდომარემ კომისიის წევრებს შეახსენა, რომ წარმომადგენლობითი ორგანოს თანხმობის გარეშე ზონის ცვლილებები, მათ შორის პრობლემურ არეალებში ვერ განხორციელდება.

დასასრულს გიორგი ებანოიძემ ითხოვა პროექტით წარმოდგენილ მე-4 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტში მცირედი კორექტირება, და შემდეგი სახით ჩამოყალიბება - „გარდა თემატურ რუკაზე მონიშნული „A“ განაშენიანების რეგულირების გეგმების“ არეალისა, მიწის ნაკვთების სამშენებლოდ განვითარება შესაძლებელი იქნება მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით განსაზღვრული ფუნქციური ზონირების ან მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული

არეალების ფარგლებში განაშენიანების რეგულირების გეგმების შესაბამისად (ამავე განაშენიანების რეგულირების გეგმებით განსაზღვრული ფუნქციური ზონირებით).

კომისიის წევრები დაეთანხმნენ მომხსენებლის წინადადებას.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა**, ასევე, წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი“ წევრმა - **ელენე ოზაშვილმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და ზემოაღნიშნული წინადადების გათვალისწინებით მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - **სერგო ბირკაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის **№28-94** დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

საკითხის წარმომდგენის თქმით, დედაქალაქში, ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების დარღვევის ან შესაბამისი ნებართვის გარეშე აღნიშნული საქმიანობის განხორციელებისთვის გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საქმეებს განიხილავს - **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახური.**

როგორც **ბატონმა სერგომ** განმარტა, წარმოდგენილი პროექტით, ზემოაღნიშნულ სამართალდარღვევებზე საქმეების განხილვის უფლებამოსილება ასევე ენიჭება, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას,** სანებართვო პირობების შესრულებაზე ეფექტური კონტროლის განხორციელების მიზნით. შესაბამისად, მუნიციპალური ინსპექცია, ინსპექტირებისა და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ტერიტორიის დაცვის სამმართველოს მეშვეობით, უზრუნველყოფს დედაქალაქის საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების დარღვევის ან შესაბამისი ნებართვის გარეშე განხორციელების ფაქტების გამოვლენას.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, ვინაიდან, დებულების მე-5 მუხლის მე-5 პუნქტს არ გააჩნია ქვეპუნქტები, წარმოდგენილ დადგენილების პროექტის პირველ მუხლში უნდა გასწორდეს ტექნიკური ხასიათის შეცდომა და დაზუსტდეს, თუ რომელ მუხლში უნდა განხორციელდეს ცვლილება.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი“ წევრმა - **ელენე ოზაშვილმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - **სერგო ბირკაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში ცალკეულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისათვის დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის **N28-96** დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციის უფლებამოსილებს ემატება, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135[4] მუხლით („საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით - ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების დარღვევით ან შესაბამისი ნებართვის გარეშე განხორციელებისთვის) გათვალისწინებულ შემთხვევებში საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის **ოქმის შედგენის უფლებამოსილება.**

ბატონი სერგოს თქმით, წარმოდგენილი პროექტით, **მტკიცდება საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის ფორმა,** რომლის ენობრივი სისწორე შეთანხმებულ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან.

ამასთან, როგორც **საკითხის წარმომდგენმა** აღნიშნა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135[4] **მუხლით დაჯარიმებისას, სამართალდამრღვევის მიერ საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმის გასაჩივრება მოხდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში.**

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია პროექტით წარმოდგენილი **დანართი 2** შესაბამისობაში მოვიდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის **N32-108** დადგენილების დანართებთან და იდენტური სახით ჩამოყალიბდეს.

ასევე, სასურველია **N32-108** დადგენილებით დამტკიცებული დანართის მსგავსად, **N28-96** დადგენილების პროექტის დანართით წარმოდგენილ ოქმის ფორმაში მიეთითოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135[4] მუხლის შენიშვნის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი“ წევრმა - **ელენე ოზაშვილმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6-7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - **სერგო ბირკაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის **N10-7** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის **N10-19** დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებათა პროექტები.

მომხსენებლის განმარტებით, **„შრომის უსაფრთხოების შესახებ“** საქართველოს ორგანული კანონი არეგულირებს, სახელმწიფო ორგანოების, დამსაქმებელთა, დასაქმებულთა, დასაქმებულთა წარმომადგენლებისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების უფლებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც დაკავშირებულია უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნასთან.

როგორც **მომხსენებელმა** აღნიშნა, ზემომითითებული კანონის, **„ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“** საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ცვლილება ხორციელდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **N10-7** დადგენილებაში. ცვლილება ითვალისწინებს, შრომისა და ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში არსებული უფლებებისა და ვალდებულებების, მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურისათვის მინიჭებას.

ბატონი სერგოს თქმით, წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის ფუნქციებს ემატება ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურაში, შრომისა და ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროებში, კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელების უზრუნველყოფა. ასევე, **სამსახურის ინსპექტირების განყოფილებას ეცვლება სახელწოდება და ეწოდება „ინსპექტირების, შრომის უსაფრთხოების ორგანიზებისა და მართვის განყოფილება“.** ამასთან, ეს განყოფილება უფლებამოსილი ხდება მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში გამოავლინოს და მოახდინოს რეაგირება შრომის უსაფრთხოების სფეროში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭირო გახდა ცვლილების განხორციელება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N10-19 დადგენილების პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ დანართ N5-ში - **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის საშტატო ნუსხაში,** რომლის მიხედვით, სამსახურის „ინსპექტირების განყოფილება“-ს ეცვლება სახელწოდება და ეწოდება **„ინსპექტირების, შრომის უსაფრთხოების ორგანიზებისა და მართვის განყოფილება“.**

როგორც **საკითხის წარმომდგენმა** განმარტა, გაჩნდა საჭიროება ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის ფუნქციის განხორციელებისა, აღნიშნულიდან გამომდინარე, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურში არსებული 1 (ერთი) საშტატო ერთეულის ვაკანსია - „მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო ერთეული" (თანამდებობრივი სარგო - 1300 (ათას სამასი) ლარი) შეიცვლება „მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი"-ს საშტატო ერთეულით, რომელსაც განესაზღვრება თანამდებობრივი სარგო - 2500 (ორი ათას ხუთასი) ლარი და თანამდებობრივად დაექვემდებარება სამსახურის უფროსს.

ბატონმა სერგომ იქვე დასძინა, რომ სამსახურის **„შიდა აუდიტის განყოფილების"** მესამე რანგის შეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საშტატო წესსით გათვალისწინებული 5 (ხუთი) საშტატო ერთეული შემცირდება 1 (ერთი) ერთეულით.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარემ, დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მე-6** საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით უმჯობესია შეიცვალოს პროექტით წარმოდგენილი მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „პ" და „ჟ" ქვეპუნქტების ასბასური რიცხთოსა და აღსიშსული პუსქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მე-7** საკითხთან დაკავშირებით **ბატონმა ლევანმა** აღნიშნა, რომ დადგენილების პროექტი წარმოდგენილია აღნიშნული ნორმატიული აქტისათვის დამახასიათებელი აუცილებელი შემდეგი რეკვიზიტების გარეშე, რაც გამოსწორებულ იქნა კომისიის მიერ და დანართის სახით დაერთვება კომისიის მიერ შემუშავებულ დასკვნას.

საკითხის წარმომდგენი დაეთანხმა თავმჯდომარის მიერ დადგენილებათა პროექტებთან დაკავშირებით გამოთქმულ შენიშვნებს.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილებათა პროექტებთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი" წევრმა - **ელენე ოზაშვილმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად გადაწყვიტეს, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მე-6** საკითხი მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით განხილულ იქნეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე, ხოლო კომისიის გადაწყვეტილებით, დღის წესრიგით გათვალისწინებულ მე-7 საკითხი, **დანართის სახით წარმოდგენილი რედაქციით,** განხილულ იქნეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე

მოისმინეს:

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა - **სერგო ბირკაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის **N17-49** დადგენილებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, **საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილების 35-ე მუხლი** ადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის საჭირო ღონისძიებებს. მომხსენებელმა ასევე აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელი მშენებლობების საკითხის შესწავლის მიზნით **თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 19 ივნისის N19.667.889 განკარგულებით შეიქმნა კომისია,** რომლის მიზანსაც წარმოადგენს მშენებლობის დასრულებისათვის დადგენილი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების მიზნით შემოსული განცხადებების განხილვა, შესაბამის დასკვნების/რეკომენდაციების მომზადება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის გადაწყვეტილების მისაღებად წარდგენა. აღნიშნული კომისიის სხდომაზე, საკითხების განხილვისას გამოითქვა მოსაზრება, რომ მიზანშეწონილია დაუმთავრებელი მშენებლობების ხელშეწყობის მიზნით, ეს ობიექტები გათავისუფლდნენ სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადახდისგანაც.

საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ **„ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ"** საქართველოს კანონიდან ამოღებულ იქნა შესაბამისი მუხლი, რომელიც ადგენდა მოსაკრებელს სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის. თუმცა, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის თანახმად, 2019 წლის 3 დეკემბრამდე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის დამტკიცება, მშენებლობის ნებართვის გაცემა, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირება და მათში ცვლილებების შეტანა, აგრეთვე სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობა განხორციელდება 2019 წლის 3 ივნისამდე მოქმედი შესაბამისი სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით. შესაბამისად, 2019 წლის 3 დეკემბრიდან სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გაუქმდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტშიც.

ბატონმა სერგომ განმარტა, რომ ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილია დადგენილების პროექტი, რომლითაც ცვლილება ხორციელდება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **N17-49** დადგენილებაში და დადგენილებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-4 პუნქტს, სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძვლებს, ემატება „თ" ქვეპუნქტი, კერძოდ მოსაკრებლის გადახდისაგან თავისუფლდება სამშენებლო ობიექტი იმ შემთხვევაში თუ საქართველოს მთავრობის N59 დადგენილების 35-ე მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით მიიღებს გადაწყვეტილებას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარემ - ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ სასურველია, დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში, მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" **61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირა, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - **ბაჩო აბულაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის **N17-48** დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას წარედგინა განცხადებები და დედაქალაქის ცხელ ხაზზე დაფიქსირდა არაერთი ზარი, რომლითაც მოსახლეობა ითხოვდა ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტებში ცვლილებების შეტანას და მარშრუტებზე ავტობუსების რაოდენობის გაზრდას. ზემოაღნიშნულისა და არსებული რეალობის გათვალისწინებით განხორციელდება ცვლილებები გარკვეულ მარშრუტების სქემებში, კერძოდ:

- ✓ **მარშრუტი #4** - ორბელიანის მოედნის რეაბილიტაციიდან და მისი ტერიტორიის ნაწილის საფეხმავლოდ გამოყენებიდან გამომდინარე, მარშრუტებს შეეცვალათ მოძრაობის სქემა და ბოლო გაჩერებას ნაცვლად ხაზინის ქუჩისა, განახორციელებს ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩაზე (#2-ის მიმდებარედ). შესაბამისად, თავისუფლების მოედნიდან მოძრაობას განახორციელებენ: ალექსანდრე პუშკინის ქ. - ნიკოლოზ ბარათაშვილის ქ. - ნიკოლოზ ბარათაშვილის ხიდი - მარცხენა სანაპირო - ნიკოლოზ ბარათაშვილის ხიდი - ნიკოლოზ ბარათაშვილის ქ. (#2-ის მიმდებარედ).
- ✓ **მარშრუტი #5** მარშრუტს, წყნეთის დასახლებიდან მ/ს „დელისის“ მიმართულებით მოძრაობისას, მ/ს „დელისთან“ მგზავრთა სატრანსპორტო მომსახურების და უსაფრთხო გაჩერების მიზნით დაემატა მოძრაობა: ფერდინანდ თავაძის ქ. - სერგო ზაქარიაძის ქ. - ვაჟა ფშაველას I ჩიხი - ვაჟა ფშაველას გამზირი (მ/ს "დელისი"-ს მიმდებარედ).
- ✓ **მარშრუტი №6** - სიმონ კანდელაკის ქუჩაზე მოძრაობის ორგანიზების ცვლილებიდან გამომდინარე, საჭიროა ცვლილება განხორციელდეს მარშრუტის მოძრაობაში და შალვა ნუცუბიძის ქუჩიდან პეკინის გამზირის მიმართულებით მოძრაობა განხორციელდეს სიმონ კანდელაკის ქუჩის გავლით, ნაცვლად ბუდაპეშტის და გურამ ფანჯიკიძის ქუჩებისა. აღნიშნულით გაუმჯობესდება სიმონ კანდელაკის ქუჩის სატრანსპორტო მომსახურება.
- ✓ **მარშრუტი №10** - ორბელიანის მოედნის რეაბილიტაციიდან და მისი ტერიტორიის ნაწილის საფეხმავლოდ გამოყენებიდან გამომდინარე, მარშრუტებს შეეცვალათ მოძრაობის სქემა და ბოლო გაჩერებას ნაცვლად ხაზინის ქუჩისა, განახორციელებენ ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩაზე (#2-ის მიმდებარედ). შესაბამისად, თავისუფლების

მოედნიდან მოძრაობას განახორციელებს: ალექსანდრე პუშკინის ქ. - ნიკოლოზ ბარათაშვილის ქ. - ნიკოლოზ ბარათაშვილის ხიდი - მარცხენა სანაპირო - ნიკოლოზ ბარათაშვილის ხიდი - ნიკოლოზ ბარათაშვილის ქ. (#2-ის მიმდებარედ).

- ✓ **მარშრუტი №16** - მარშრუტი მოძრაობს მ/ს „დიდუბიდან" სოფელი დიღმის გავლით სოფელ დიდგორამდე. სოფელ თელოვანში გზის ინფრასტრუქტურული სამუშაოების ჩატარების შემდეგ შესაძლებელი გახდა M3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების უსაფრთხო მოძრაობა; გამომდინარე აღნიშნულიდან, სოფელი თელოვანის სატრანსპორტო მომსახურების მიზნით შესაძლებელია ავტობუსის (M3 კატეგორია) #16 მარშრუტის მოძრაობაში ცვლილების შეტანა და მარშრუტის მოძრაობის გაგრძელება სოფელი თელოვანის მიმართულებით ხოდაბუნების ქუჩის, მირიან მეფე და ნანა დედოფლის I ჩიხის და ქეთევან დედოფლის ქუჩის გავლით.
- ✓ **მარშრუტი №24** - მარშრუტში, გლდანის დასახლების მიმართულებით მოძრაობისას გზასავალზე ჩაიწერა ილია ვეკუას ქუჩა, ნაცვლად ომარ ხიზანიშვილის ქუჩისა.
- ✓ **მარშრუტი №29** სიმონ კანდელაკის ქუჩაზე მოძრაობის ორგანიზების ცვლილებიდან გამომდინარე, საჭიროა ცვლილება განხორციელდეს მარშრუტის მოძრაობაში და შალვა ნუცუბიძის ქუჩიდან ჟიული შარტავას ქუჩის მიმართულებით მოძრაობა განხორციელდეს სიმონ კანდელაკის ქუჩის გავლით, ნაცვლად ბუდაპეშტის, გურამ ფანჯიკიძის ქუჩებისა და პეკინის გამზირისა. აღნიშნულით გაუმჯობესდება სიმონ კანდელაკის ქუჩის სატრანსპორტო მომსახურება.
- ✓ **მარშრუტი №32** - მარშრუტში, გლდანის დასახლების მიმართულებით მოძრაობისას გზასავალზე ჩაიწერა ილია ვეკუას ქუჩა, ნაცვლად ომარ ხიზანიშვილის ქუჩისა.
- ✓ **მარშრუტი №33** - მარშრუტში, გლდანის დასახლების მიმართულებით მოძრაობისას გზასავალზე ჩაიწერა ილია ვეკუას ქუჩა, ნაცვლად ომარ ხიზანიშვილის ქუჩისა. ასევე, ვარდების რევოლუციის მოედნის ნაცვლად ჩაიწერა პირველი რესპუბლიკის მოედანი.
- ✓ **მარშრუტი №39** - მარშრუტის გზასავალზე შეიცვალა ვიქტორ კუპრაძის ქუჩაზე მობრუნების ადგილი და მობრუნდება ვიქტორ კუპრაძის და იოთამ ზედგენიძის ქუჩების გადაკვეთასთან.
- ✓ **მარშრუტი №45** - მარშრუტში, გლდანის დასახლების მიმართულებით მოძრაობისას გზასავალზე ჩაიწერა ილია ვეკუას ქუჩა, ნაცვლად ომარ ხიზანიშვილის ქუჩისა.
- ✓ **მარშრუტი №71** - მარშრუტის მოძრაობაში განხორციელდა ცვლილებები და კალოუბნის ქუჩას დაუკავშირდება ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის და გიორგი აბაშვილის ქუჩების გავლით, ნაცვლად თრიალეთის ქუჩისა. ასევე, მარშრუტს განესაზღვრა საწყისი და ბოლო პუნქტები. ასევე, მარშრუტში სესილია თაყაიშვილის ქუჩის ნაცვლად ჩაიწერა დავით ალექსიძის ქუჩა.
- ✓ **მარშრუტი №73** - მარშრუტში, მ/ს „ახმეტელის თეატრიდან" გლდანულას მიმართულებით მოძრაობისას გლდანის დასახლების კენტი მ/რაიონის მიმართულებით მოძრაობისას, გზასავალზე ომარ ხიზანიშვილის ქუჩის ნაცვლად ჩაიწერა ილია ვეკუას ქუჩა და ომარ ხიზანიშვილის ქუჩაზე გადასვლისთვის დამატებით მიეთითა „მობრუნება გლდანის I მ/რ, კორპუსი #9-ის მხრიდან".
- ✓ **მარშრუტი №83** - მარშრუტის გზასავალიდან, ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩის მიმართულებით მოძრაობისას, მოძრაობის სქემიდან ამოღებულ იქნა იაკობ გოგებაშვილის ქუჩა და მოძრაობა ვასილ ბარნოვის ქუჩიდან გაგრძელდა ბოლომდე კოტე მაყაშვილის ქუჩამდე.
- ✓ **მარშრუტი №89** - მარშრუტი მ/ს „სახელმწიფო უნივერსიტეტის" მიმართულებით მოძრაობისას ნუცუბიძის ქუჩიდან ვაჟა ფშაველას გამზირს დაუკავშირდება მიხეილ ასათიანის ქუჩით, ნაცვლად ფერდინანდ თავაძის, სერგო ზაქარიაძის ქუჩებისა და ვაჟა-ფშაველას ჩიხისა. ასევე, მარშრუტის მ/ს „დიდუბის" მიმართულებით მოძრაობისას,

შალვა ნუცუბიძის ქუჩიდან ივანე ბერიტაშვილის ქუჩაზე მოძრაობას განახორციელებს ბუდაპეშტის, ტაშკენტის და სიმონ კანდელაკის ქუჩების გავლით, რითაც გაიზრდება უსაფრთხოების ხარისხი.

- ✓ **მარშრუტი №108** - მარშრუტის მოძრაობა სოფელ გლდანში გაგრძელდა ვახტანგ გორგასალის ქუჩის გადაკვეთამდე და ბოლო გაჩერებად განისაზღვრა 26 მაისის და ვახტანგ გორგასალის ქუჩების გადაკვეთის მიმდებარე ტერიტორია. ამასთან, მარშრუტს მ/ს „ახმეტელის თეატრის" მიმართულებით მოძრაობისას გზასავალზე ჩაემატა ილია ვეკუას ქუჩა.

ბატონი ბაჩოს თქმით, ცვლილებები შედის ასევე, „ავტობუსების რაოდენობის" ცხრილში:

- ✓ **მარშრუტი #1** - „ავტობუსების რაოდენობის" ცხრილში, დიდი ტევადობის გრაფაში, შეიცვალა როგორც მაქსიმალური, ისე მინიმალური რაოდენობები, კერძოდ: 21.01-დან 21.06 მდე და 16.09 დან 01.01 მდე პერიოდის განმავლობაში შაბათ დღეს, კვირა და უქმე დღეებში მაქსიმალური და მინიმალური რაოდენობა გაიზრდება **ორი ერთეულით.** ხოლო სამუშაო დღეს მინიმალური რაოდენობა გაიზრდება **ერთი ერთეულით.** 21.06-დან 16.09-მდე და 01.01-დან 21.01- მდე პერიოდის განმავლობაში შაბათ დღეს, კვირა და უქმე დღეებში მაქსიმალური რაოდენობა გაიზრდება **ორი ერთეულით,** ხოლო მინიმალური რაოდენობა გაიზრდება **სამი და ორი ერთეულით.** სამუშაო დღეს მაქსიმალური რაოდენობა გაიზრდება **ერთი ერთეულით,** ხოლო მინიმალური რაოდენობა **ორი ერთეულით.**
- ✓ **მარშრუტი №15** - „ავტობუსების რაოდენობის" ცხრილში, შეიცვლება მაქსიმალური რაოდენობა და ჩაიწერება **9 ერთეული,** როგორც სამუშაო, ასევე შაბათ-კვირას და უქმე დღეებზე.
- ✓ **მარშრუტი №32** - „ავტობუსების რაოდენობის" ცხრილში, შეიცვლება მაქსიმალური რაოდენობა და მიეთითება **5 ერთეული,** როგორც სამუშაო, ასევე შაბათ-კვირას და უქმე დღეებზე.
- ✓ **მარშრუტი №42** - „ავტობუსების რაოდენობის" ცხრილში, შეიცვლება მაქსიმალური რაოდენობა და ჩაიწერება **5 ერთეული,** როგორც სამუშაო, ასევე შაბათ-კვირას და უქმე დღეებზე.

- ✓ **მარშრუტი #56** - „ავტობუსების რაოდენობის" ცხრილში, „საშუალო ტევადობის" ავტობუსების მინიმალური რაოდენობა გაიზრდება **ერთი ერთეულით,** ხოლო 21.01-დან 21.06-მდე და 01.01-დან 21.01-მდე პერიოდის განმავლობაში, სამუშაო დღეს, გაიზრდება **ორი ერთეულით.**

- ✓ **მარშრუტი #110** - „ავტობუსების რაოდენობის" ცხრილში, „საშუალო ტევადობის" ავტობუსების მაქსიმალური რაოდენობა გაიზრდება **ერთი ერთეულით.**

დასასრულს **საკითხის წარმომდგენმა** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებების ამოქმედებისთვის საბიუჯეტო სახსრები გასათვალისწინებელია.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" **61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ - **ბაჩო აბულაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის **№24-80** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, დადგენილების პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **№24-80** დადგენილების დამტკიცებულ **„საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის წესის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის წესის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების შესახებ წესში“** ცვლილების შეტანას, რომლის თანახმადაც „A” კატეგორიის ნებართვის მფლობელი, ნებართვის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში, ვალდებული ხდება დაიცვას შემდეგი სანებართვო პირობა: მომსახურების გაწევისას სატრანსპორტო საშუალება ვიზუალური შემოწმებით უნდა აკმაყოფილებდეს პერიოდული ტექნიკური ინსპექტირებისათვის დადგენილ მოთხოვნებს, ისე რომ შემმოწმებელი ახდენდეს დადგენილ მოთხოვნებთან აშკარა და ვიზუალურად ნათლად გამოკვეთილი შეუსაბამობის იდენტიფიცირებას, რომლის აღქმაც შესაძლებელია ნებისმიერი პირის მიერ და დაკავშირებული არ არის სპეციალურ/ექსპერტულ ცოდნასთან. ამასთან ნებართვაში მითითებული სატრანსპორტო საშუალების ძარის ყველა ელემენტი, მათ შორის ბამპერი უნდა იყოს თეთრი ფერის, გამონაკლისია ის შემთხვევა, როდესაც ძარის ზედა ნაწილი (სახურავი) შუშისაა (პანორამა).

მომხსენებლის განმარტებით, ასევე, ცვლილების **მიხედვით**, „B“ კატეგორიის ნებართვის მფლობელს მომსახურების გაწევისას ეკრძალება სატრანსპორტო საშუალებაზე/**საშუალებაში** ტაქსის აღმნიშვნელი მანათობელი ნიშნის ან ტაქსის მაიდენტიფიცირებელი ნებისმიერი სხვა საშუალების (ნიშნის) განთავსება.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, წარმოდგენილი ცვლილების თანახმადაც, სამართალდარღვევის გამოვლენის მიზნით უფლებამოსილი პირი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, ნებისმიერი სახით და ფორმით განახორციელოს შემოწმება. ამასთან უფლებამოსილი პირი ვალდებულია შემოწმებისას იქონიოს და საჭიროებისას წარადგინოს სამსახურებრივი მოწმობა.

გარდა ამისა, საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით (M1 კატეგორია) გადაყვანისას **უნებართვო საქმიანობად ჩაითვლება:**

- შესაბამისი ნებართვის გარეშე მგზავრის გადაყვანა და ბარგის გადაზიდვა ნებისმიერი დანიშნულებითა და მიზნით იმ შესაბამისი ნიშნით, რომელიც ტაქსის მაიდენტიფიცირებელი იქნება.

- სატრანსპორტო საშუალებაზე ტაქსის აღმნიშვნელი მანათობელი ნიშნის ან ტაქსის მაიდენტიფიცირებელი ნებისმიერი იმ სხვა საშუალების (ნიშნის) განთავსება, რომლის გამოც სატრანსპორტო საშუალება აღქმული იქნება ტაქსად, აგრეთვე ტაქსის აღმნიშვნელი მანათობელი ნიშნით ან ტაქსის მაიდენტიფიცირებელი ნებისმიერი სხვა საშუალებით (ნიშნით) გზებზე მოძრაობა.

დასასრულს **მომხსენებელმა** აღნიშნა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტში ასახული და გათვალისწინებულია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიცია, აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,** ასევე, დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი" წევრმა - **ელენე ოზაშვილმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის **N19-74** დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-74 დადგენილებაში და დადგენილებით დამტკიცებულ წესს ემატება 7^1 მუხლი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული მიწის ნაკვეთების საზღვრების მართვასთან დაკავშირებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტების მომზადების საფასური და ვადები. კერძოდ: განცხადების მიღებიდან 20 დღის ვადაში საფასური არ იქნება გადასახდელი; განცხადების მიღებიდან 7 დღის ვადაში საფასური იქნება - 200 ლარი; განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში - 300 ლარი; განცხადების მიღებიდან 3 დღის ვადაში - 400 ლარი.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია დადგენილების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ **61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.**

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა** და ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი“ წევრმა - **ელენე ოზაშვილმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი **“ქ. თბილისში, სოფ. აგარაკი, აგარაკის ქ. №6-ში მდებარე უძრავი ქონების (ს/კ: №72.16.28.180)** გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, მთავრობის **N19.1086.1395** განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად, ხორციელდება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული **2000 კვ.მ** მიწის ნაკვეთის გაცვლა, **ჯორჯ ფაჰიმ აზიზ ხალილის** საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაში: ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებული **739 კვ.მ.** მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: **№01.14.15.003.070**).

საკითხის წარმომდგენის თქმით, აღნიშნული მონაცვლეობა გაპირობებულია იმ მიზეზით, რომ სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილებით, **739კვ.მ** მიწის ნაკვეთზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის მოთხოვნა, მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, არ დაკმაყოფილდა. ასევე, **ჯორჯ** ფაჰიმ აზიზ ხალილის საკუთრებაში არსებულ **739კვ.მ** მიწის ნაკვეთს, ახალი გენგეგმით მიენიჭა სატყეო ზონა, რამაც შეუძლებელი გახადა მიწის ნაკვეთის სამშენებლო განცალკევება.

მომხსენებლის განმარტებით,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული - ქ.თბილისში, სოფელ აგარაკში, აგარაკის ქ. N6-ში მდებარე **2000 კვ.მ** მიწის ნაკვეთის განკარგვა, მოქმედი ფუნქციური ზონის შესაბამისად.

ქალბატონი ნინოს თქმით, განმცხადებელმა აღნიშნა, რომ სანაცვლოდ მოთხოვნილი მიწის ნაკვეთის უფრო მაღალი საბაზრო ღირებულების შემთხვევაში, დამატებით გადაიხდიდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ განსაზღვრულ საპრივატიზებო

საფასურს. ხოლო მუნიციპალური ქონების უფრო დაბალი საბაზრო ღირებულების გამოვლენის შემთხვევაში, გამოვლენილ სხვაობასთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირს არ ექნებოდა არანაირი პრეტენზია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ.

ქალბატონმა ნინომ იქვე დასძინა, რომ გაცვლას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთები შეფასდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ:

- ექსპერტიზის დასკვნითა და დამატებით წარმოდგენილი წერილობითი განმარტებით - 2000კვ.მ მიწის ნაკვეთი შეფასდა სარეკრეაციო ზონა 3-ის სტატუსით(გამწვანებული რუკით), როგორც უპირატესად მიჩნეული მიწის ნაკვეთზე მოქმედი ფუნქციურ ზონასთან: საცხოვრებელ ზონა 1-თან შედარებით. მისი საბაზრო ღირებულება, 2019 წლის 3 ოქტომბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ, განისაზღვრა 416 000 ლარის ოდენობით.

- ექსპერტიზის დასკვნითა და დამატებით წარმოდგენილი წერილობითი განმარტებით - 739 კვ.მ. მიწის ნაკვეთი საბაზრო ღირებულება, 2019 წლის 24 სექტემბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 351 279 ლარის ოდენობით. დამკვეთის მოთხოვნით, მიწის ნაკვეთი შეფასდა მიწათსარგებლობის ახალ გენერალურ გეგმამდე მოქმედი ძველი გენერალური გეგმის ფარგლებში არსებული ფუნქციური ზონის: საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2; კ1-0,5; კ2-0,8; კ3-0.25) გათვალისწინებით.

დასასრულს, საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მისაღებად მიიჩნია აღნიშნული უძრავი ქონების ახალ მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმამდე არსებული ფუნქციური ზონის სტატუსით შეფასება და საპრივატიზებო საფასურად წარმოდგენილია 65 000 (სამოცდახუთი ათასი) ლარი, როგორც საექსპერტო შეფასებებში ეროვნულ ვალუტაში მითითებულ თანხებს შორის სხვაობის არანაკლები ოდენობა.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის ნაცვლად, მიეთითოს ამავე მუხლის მე-4 პუნქტი. ამასთან, მიზანშეწონილია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში, მიეთითოს გაცვლის ფორმით პრივატიზებას დაქვემდებარებული ქონების საპრივატიზებო საფასური.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი“ წევრმა - ელენე ოზაშვილმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, დიღმის მასივში, ლუბლიანას ქუჩა N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.02.005.003.01.510) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, მოქალაქე რუსუდან ბარბაქაძისთვის, ქალაქ თბილისში, დიღმის მასივი, ლუბლიანას ქუჩა N17, პირველი სართული, 43.99 კვ.მ. უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად 1(ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას.

მომხსენებლის განმარტებით, რუსუდან ბარბაქაძე 1998 წლიდან ცხოვრობს ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩა N17-ში მდებარე საცხოვრებელ ფართში, რაც დასტურდება, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის „ლუბლიანას 17" სხდომის ოქმით.

ქალბატონმა ნინომ განმარტა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან წარდგენილია, დიდუბის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა, დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების, რუსუდან ბარბაქაძის ოჯახისთვის გადაცემასთან დაკავშირებით.

საკითხის წარმომდგენმა იქვე განმარტა, რომ ქონების გადაცემით დაინტერესებული პირისა და მისი ოჯახის აღნიშნულ მისამართზე ცხოვრების ფაქტს ადასტურებს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე - ჩუღურეთის სამმართველოს პოლიცია.

დასასრულს, ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, მოქალაქე რუსუდან ბარბაქაძისა და მისი ოჯახის წევრების სახელზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში გასწორდეს მთავრობის 2019 წლის 23 ოქტომბრის N19.1119.1406 განკარგულების სათაურისა და მოქალაქ რუსუდან ბარბაქაძის მითითებისას დაშვებული ტექნიკური შეცდომა. ამასთან, აღნიშნულ პუნქტში განისაზღვროს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური - 1 (ერთი) ლარის ოდენობით და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ვარკეთილის

დასახლებაში, ზემო პლატოს II მიკრორაიონის კორპუს N19-ში (ნაკვეთი 07/029) (**საკადასტრო კოდი: N01.19.20.007.029.01.016**) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, მოქალაქე ზაზა ხეჩინაშვილისთვის, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, ზემო პლატოს II მიკრორაიონის კორპუს N19-ში მდებარე **98,63 კვ.მ** უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით **სიმბოლურ ფასად 1(ერთი) ლარად** საკუთრებაში გადაცემას.

მომხსენებლის თქმით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასთან წარდგენილია სამგორის რაიონის გამგებლის წერილობითი შუამდგომლობა, არადევნილის სტატუსის მქონე მოქალაქე ზაზა ხეჩინაშვილისთვის მის სარგებლობაში არსებული იზოლირებული საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

ნინო კვეტენაძემ აქვე დასძინა, რომ ხსენებული პირი დაახლოებით ათ წელზე მეტია ცხოვრობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით, რაც დასტურდება უბნის ინსპექტორ- გამომძიებლის მიერ ზაზა ხეჩინაშვილის მეზობლებთან გასაუბრების შედეგად შედგენილი აქტებითა და მათი ნოტარიულად დამოწმებული გახცხადებებით.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი, მიეთითოს პრივატიზების საფასური „**სიმბოლურ ფასად** - 1 (ერთი) **ლარად**" შესაბამისად, განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ოცხელის ქუჩა N4-ში (**საკადასტრო კოდი: N01.19.33.002.017.01.021**) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, მოქალაქე გიორგი ქართველიშვილისთვის, ქალაქ თბილისში, ოცხელის ქუჩა № 4-ში მდებარე **58,71 კვ.** მ. ფართის, პირდაპირი განკარგვის ფორმით **სიმბოლურ ფასად 1(ერთი) ლარად** საკუთრებაში გადაცემას.

მომხსენებლის თქმით, ქ. თბილისის პოლიციის VII განყოფილების წერილის, ქვემო სამგორის განყოფილების შემოწმების ოქმისა და დაინტერესებული პირის მეზობლების ნოტარიულად

დამოწმებული განცხადებებით დასტურდება, რომ გიორგი ქართველიშვილი 1993 წლიდან ცხოვრობს მისამართზე: ქ. თბილისი, ოცხელის ქ. № 4, ბინა № 21.

ნინო კვეტენაძემ იქვე დასძინა, რომ - სსიპ ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია გიორგი ქართველიშვილის სახელზე გაწერილი კომუნალური გადასახადების ქვითრები, რომლებშიც აბონენტის მისამართად ფიქსირდება - სამგორი, ოცხელის, შენ. 4, ბინა 21.

დასასრულს, ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, გიორგი ქართველიშვილსა და მისი ოჯახის წევრების სახელზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში სწორი ფორმით მიეთითოს მთავრობის 2019 წლის 15 ოქტომბრის № 19.1089.1383 განკარგულების სათაური და ასევე, აღინიშნოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური „სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად" შესაბამისად, განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ელეფთერ ანდრონიკაშვილის I შესახვევის N47-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.03.011.002) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ელეფთერ ანდრონიკაშვილის I შესახვევის N47-ში არსებული უძრავი ქონების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის N19.1067.1362 განკარგულებით განსაზღვრულ პირთათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურ ფასად 1(ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემას.

მომხსენებლის თქმით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია გლდანის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა, ზემოაღნიშნულ მისამართზე არსებული უძრავი ქონების მოქალაქეებისთვის: ხათუნა ბაღდოშვილისთვის 57.56 კვ.მ, თამარ ბერიშვილისთვის 46.36 კვ.მ, ლევან ზაზაშვილისთვის 40.36 კვ.მ და თამარ კვენეტაძისთვის 78.66 კვ.მ და 3.70 კვ.მ საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

ქალბატონმა ნინომ იქვე დასძინა, რომ ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს პოლიციის IV განყოფილებისა და გლდანის რაიონის გამგეობის

ავჭალა გლდანისხევის საუბნო განყოფილების წერილებით, ასევე, დაინტერესებული პირების მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით დასტურდება, რომ ქონების გადაცემით დაინტერესებული პირები ნამდვილად ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე 1994-1998 წლიდან დღემდე.

დასასრულს, ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, მთავრობის N19.1067.1362 განკარგულებით წარმოდგენილ პირებზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფარგლებში **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი მთავრობის 2019 წლის 9 ოქტომბრის N19.1067.1362 განკარგულების მითითების ნაწილში. ასევე, ძიხანშეწოხილია, განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა N35-ში **(საკადასტრო კოდი: N01.17.10.002.084.01.519)** მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, **მოქალაქე ფირუზ ლომიძისათვის,** ქალაქ თბილისში, წულუკიძის ქუჩა N35, სადარბაზო 1, სართული 5, ბინა N73-74, **56.00 კვ.მ** ფართის პირდაპირი განკარგვის ფორმით **სიმბოლურ ფასად 1(ერთი) ლარად** საკუთრებაში გადაცემას.

ნინო კვეტენაძის თქმით, სსიპ-ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია, ისნის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობა, ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ბალანსზე რიცხული ფართის, მოქალაქე ფირუზ ლომიძისთვის, რომელიც **1989 წლიდან** დღემდე ოჯახთან ერთად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით სიმბოლურად ფასად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

საკითხის წარმომდგენის თქმით, სააგენტოში წარდგენილია ასევე ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის II განყოფილების ოქმები, რომელთა თანახმად, მოქალაქე ფირუზ ლომიძე დაახლოებით **ოცდაათი წელია** ოჯახთან ერთად ცხოვრობს ზემოთ მითითებულ მისამართზე. აგრეთვე, წარდგენილია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა **„ერთობის"** ნოტარიულად დამოწმებული კრების ოქმი,

რომლითაც დასტურდება რომ დაინტერესებული პირი ნამდვილად ფლობს ზემოაღნიშნულ ფართს.

დასასრულს, **ქალბატონმა ნინომ** აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, მოქალაქე ფირუზ ლომიძესა და მისი ოჯახის წევრებზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მოხდეს ტექნიკური ხარვეზების გასწორება, მთავრობის **N19.1120.1405** განკარგულების სათაური მიეთითოს სწორი ფორმით, მოხდეს პრივატიზებას დაქვემდებარებული უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასურის **„სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად“** მითითება და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, სმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ვარკეთილი დასახლებაში, III მასივის I კვარტალის კორპუს N6-ში **(საკადასტრო კოდი: N01.19.20.029.002)** არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, მოქალაქე ზოია კიკვაძის, თინა ონიანის და გელა ხეტეშვილისთვის, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის III მასივის I კვარტალის მე-6 კორპუსში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით **სიმბოლურ ფასად 1(ერთი) ლარად** საკუთრებაში გადაცემას.

მომხსენებლის თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობამ იშუამდგომლა, ქალაქ თბილისის მთავრობასთან, ზემოაღნიშნული პირებისთვის დაკავებული საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

საკითხის წარმომდგენის განმარტებით, აღნიშნული პირები 2005 წლიდან ცხოვრობენ დაინტერესებაში არსებულ ფართებში, რასაც ადასტურებს, დაინტერესებული პირების მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებები. ამასთან, დაინტერესებული პირების მიერ ზემოაღნიშნულ მისამართზე ცხოვრების ფაქტს ადასტურებს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველო, სამგორის რაიონის გამგეობისადმი მიმართული წერილით.

როგორც **ქალბატონმა ნინომ** განმარტა, ზოია კიკვაძეს ფაქტობრივად დაკავებული აქვს და საკუთრებაში გადაეცემა 53.51 კვ.მ საცხოვრებელი ფართი, თინა ონიანს - 88.44 კვ.მ საცხოვრებელი ფართი, ხოლო გელა ხეტეშვილს - 44.32 კვ.მ საცხოვრებელი ფართი.

ნინო კვეტენაძემ იქვე დასძინა, რომ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ამონაწერის მიხედვით, ზოია კიკვაძე ფიქსირდება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 1000 სარეიტინგო ქულით.

ამასთან **მომხსენებელმა** აღნიშნა, რომ წარმოდგენილია სამგორის რაიონის გამგეობის თანამშრომლის მიერ ცხოვრების ფაქტის შემოწმების ოქმები, რომლითაც დასტურდება ზემოაღნიშნული პირების მითითებულ მისამართზე ცხოვრების ფაქტი.

დასასრულს **მომხსენებელმა** აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, ზემოაღნიშნულ პირებზე და მათ ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით. ასევე, მიზანშეწონილია გასწორდეს ტექნიკური ხასიათის ხარვეზი წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის **2019 წლის 23 ოქტომბრის N19.1117.1408** განკარგულების სათაური მიეთითოს სწორი ფორმით და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით,

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N33/ქალაქ თბილისში, ალ. ჭავჭავაძის ქუჩა N8-ში **(საკადასტრო კოდი: N01.15.05.011.003.01.556)** მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, არადევნილის სტატუსის მქონე **მოქალაქე მზია ჩხიკვაძისთვის,** ქალაქ თბილისში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მისამართი: ქალაქი თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N33/ქალაქი თბილისი, ალ. ჭავჭავაძის ქუჩა N8, **ნახევარ სარდაფი, 51.07 კვ.მ.** პირდაპირი განკარგვის ფორმით **სიმბოლურ ფასად 1(ერთი) ლარად** საკუთრებაში გადაცემას.

როგორც საკითხის წარმომდგენმა განმარტა, მთაწმინდის რაიონის გამგეობას მიმართა მოქალაქე მზია ჩხიკვაძემ და ითხოვა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასთან შუამდგომლობის გაწევა, მისი ოჯახის მიერ, 26 (ოცდაექვსი) წლის მანძილზე დაკავებული უძრავი ქონების, სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით.

მომხსენებლის განმარტებით, უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებული პირი დროის სხვადასხვა პერიოდში ფლობდა რამდენიმე უძრავ ქონებას, როგორც თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ასევე რეგიონებში. ნინო კვეტენაძის თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგეობის იურიდიული განყოფილების მიერ მომზადებული ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმის თანახმად, მოქალაქე მზია ჩხიკვაძე განმარტავს, რომ არსებული უძრავი ქონების გასხივების შედეგად ძიღებული ფულადი რესურსი გამოყენებულ იქნა თავისი ძმის - გიორგი ჩხიკვაძის მიერ. აღნიშნულს, სანოტარო წესით დამოწმებული ხელმოწერით ადასტურებს გიორგი ჩხიკვაძე.

ქალბატონმა ნინომ იქვე დასძინა, რომ მოქალაქე მზია ჩხიკვაძე დღეის მდგომარეობით ფლობს, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სასოფლო-სამეურნეო მიწას (ფართით - 1000 (ათასი) კვ.მ. აღნიშნული ქონება მზია ჩხიკვაძეს მიღებული აქვს სამკვიდრო მოწმობის საფუძველზე. ამასთან, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, მზია ჩხიკვაძის შვილის, მარიამ რატიანის სახელზე, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებულია არ არის, ხოლო, მოქალაქე მზია ჩხიკვაძის სახელზე, საკუთრების უფლება თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

საკითხთან დაკავშირებული დეტალების განხილვისას, ნინო კვეტენაძემ აღნიშნა, რომ მთაწმინდის რაიონის გამგეობაში წარდგენილია, მოქალაქე მარიამ რატიანის ნოტარიულად დამოწმებული განცხადება, სადაც აღნიშნული პირის მიერ განმარტებულია, რომ ქალაქ თბილისში, ზუბალაშვილების ქუჩა N33-ში მდებარე ფართში, სადაც დაიბადა 1997 წელს, ცხოვრობს დედასთან ერთად. წარდგენილი განცხადების მიხედვით, მოქალაქე მარიამ რატიანი აცხადებს, რომ თუკი მის ოჯახს საკუთრებაში გადაეცემა ზემოაღნიშნული უძრავი ქონება, თავად, როგორც დევნილის სტატუსის მქონე პირი უარს განაცხადებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა განსახლების, შრომის და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროდან ფართის მიღებაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილია, ასევე სამინისტროს დადებითი პოზიცია.

დასასრულს, საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ მოქალაქე მზია ჩხიკვაძის მიერ დაინტერესებაში არსებულ ფართში 1994 წლიდან ცხოვრების ფაქტი დასტურდება, მთაწმინდის გამგეობის საუბნო სამსახურის მიერ შედგენილი გადამოწმების ოქმებითა და ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს პოლიციის VII განყოფილების მიერ, მთაწმინდის რაიონის გამგეობაში წარდგენილი მეზობლებთან გასაუბრების ოქმებით.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში გასწორდეს მთავრობის N19.1090.1382 განკარგულების სათაურისა და მოქალაქე მზია ჩხიკვაძის მითითების ნაწილში დაშვებული ტექნიკური შეცდომები, ამასთან, მართებულია, განკარგულების პროექტის აღნიშნულ პუნქტში განისაზღვროს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური - 1 (ერთი) ლარის ოდენობით და შესაბამისად, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს მხარი არ დაუჭირა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,** ასევე, განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი“ წევრმა - **ელენე ოზაშვილმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება, III მასივის IV კვარტალის კორპუს N5-ში (**საკადასტრო კოდი: N01.19.20.023.014.01.033**) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, **მოქალაქე გულნარა ჩოხელისთვის,** ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში III მასივის IV კვარტლის კორპ.N5-ში, სართული 3, ბ.N33-ში მდებარე უძრავი ქონების ფართის - 49.69კვ/მ, პირდაპირი განკარგვის ფორმით **სიმბოლურ ფასად 1(ერთი) ლარად** საკუთრებაში გადაცემას.

მომხსენებლის თქმით, სამგორის რაიონის გამგეობამ, შუამდგომლობით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება **III მასივის IV კვარტლის კორპ.N5-ში, სართული 3, ბ.N33-ში** მდებარე უძრავი ქონების გულნარა ჩოხელისთვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფლობს და სარგებლობს აღნიშნული უძრავი ქონებით.

ნინო კვეტენაძის თქმით, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის სამმართველოს პოლიციის I განყოფილების წერილითა და წერილზე თანდართული ოქმით დასტურდება, რომ გულნარა ჩოხელი და მისი ორი ქალიშვილი **1992 წლიდან (27 წელი)** ცხოვრობენ ზემოაღნიშნულ მისამართზე.

ნინო კვეტენაძემ იქვე დასძინა, რომ გულნარა ჩოხელის მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით დასტურდება, აღნიშნული პირის 1992 წლიდან დღემდე დაინტერესებაში არსებულ მისამართზე ცხოვრების ფაქტი.

დასასრულს, **ქალბატონმა ნინომ** აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, გულნარა ჩოხელზე და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი მთავრობის განკარგულების მითითების ნაწილში, ასევე მიეთითოს უძრავი ქონების საპრივატიზებო საფასური „სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად“ და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, სატყეოს ქუჩა N4-ში **(საკადასტრო კოდი: N81.01.06.519.01.003)** მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, **მოქალაქე მაყვალა დანელიასთვის,** ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში (სატყეოს ქუჩა N4, სართული 1, ბინა N3, ფართით 58.23 კვ.მ) მდებარე უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით **სიმბოლურ ფასად 1(ერთი) ლარად** საკუთრებაში გადაცემას.

საკითხის წარმომდგენის თქმით, მთაწმინდის რაიონის გამგებელმა, შუამდგომლობით მიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების, მოქალაქე მაყვალა დანელიასთვის **სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად** გადაცემასთან დაკავშირებით.

ქალბატონმა ნინომ განმარტა, რომ სსიპ- ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს 2019 წლის 15 იანვრის წერილი, რომლის თანახმად, მოქალაქე მაყვალა დანელია ნამდვილად ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. ამასთან, სააგენტოში წარდგენილია, მთაწმინდის რაიონის გამგეობის გამოკითხვის ოქმები, რომლის თანახმადაც დასტურდება, რომ მოქალაქე მაყვალა დანელია აღნიშნულ ფართში ცხოვრობს ხანგრძლივად.

დასასრულს, **მომხსენებელმა** განმარტა, რომ მაყვალა დანელიას მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით დასტურდება, რომ დაინტერესებული პირი ზემოაღნიშნულ საცხოვრებელ ფართში ცხოვრობს ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი, მიეთითოს პრივატიზების საფასური **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** და განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

22. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ**, სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, განსაზღვრული მოძრავი ქონების საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ: 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული **„MERCEDES-BENZ 0345"** მარკის ავტობუსის (სახელმწიფო ნომერი: KK156WW) და სათადარიგო ნაწილების სსიპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად -1 (ერთ) ლარად** გადაცემას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის **N19.1153.1442** განკარგულების დანართით გათვალისწინებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

საკითხის წარმომდგენმა აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება საკუთრებაში გადაეცემა ნეკრესის ეპარქიას, ეპარქიაში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობისათვის.

ქალბატონმა ნინომ იქვე დასძინა, რომ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის წერილობითი თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების („MERSEDES-BENZ 0345" მარკის ავტობუსის, სახელმწიფო ნომერი KK156WW და სათადარიგო ნაწილები) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

აზრი გამოთქვა:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია, განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით. ამასთან, კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, მიზანშეწონილია, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში გასწორდეს მთავრობის განკარგულების დანართის მითითების ნაწილში არსებული ტექნიკური ხარვეზი.

გარდა ამისა, **თავმჯდომარემ** განმარტა, რომ სასურველია წარმოდგენილი განკარგულების პროექტის პირველ პუნქტში მოხდეს პრივატიზებას დაქვემდებარებული უძრავი ქონების და საპრივატიზებო საფასურის მითითება.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქი თბილისი, ვარკეთილის დასახლება, მასივი III, კვარტალი X, ქუჩა კალოუბანი, კორპუსი №15-ის მიმდებარედ სკვერში არსებული 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.028.190) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/ნ:204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება, III მასივი, X კვარტალი, კალოუბანის ქუჩის №15 კორპუსის მიმდებარედ, სკვერში არსებული 1500 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.19.20.028.190) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის სიმბოლურ ფასად -1 (ერთ) ლარად გადაცემას, შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით. მომხსენებელმა იქვე დაამატა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ტაძრის მშენებლობას ითხოვს ათობით ადგილობრივი მაცხოვრებელი.

როგორც ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიაჩნია მითითებულ მიწის ნაკვეთზე ტაძრის მშენებლობა, შემდგომში ტერიტორიის შემოღობვის უფლების გარეშე და დარჩენილი სივრცის უმეტეს ნაწილზე საზოგადოებრივი ფუნქციით შენარჩუნების პირობით.

დასასრულს, საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობის პოზიციის მიხედვით, გამგეობა წინააღმდეგი არ არის გაიმიჯნოს, ქ. თბილისში, ვარკეთილის III მასივის, მე-10 კვარტალში, მე-15 კორპუსის მიმდებარე მიწის ნაკვეთი და განხორციელდეს ტაძრის მშენებლობა.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - ლილე ლიპარტელიანმა და ფრაქციის „ევროპული საქართველო - თბილისი" წევრმა - ელენე ოზაშვილმა,

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - ნინო კვეტენაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრო/რაიონში (ს/კ: № 01.11.12.002.061.01.502) მდებარე 181.13 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ია"-სთვის (ს/კ: 200160636) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის

საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, გლდანის მასივში, IV მიკრორაიონში მდებარე შენობა-ნაგებობა № 1-ის სხვენ სართულზე არსებული **181.13 კვ.მ.** ფართის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ია“-**სთვის,** პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ორი წლის ვადით გადაცემას, **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის პროფესიული სწავლებისთვის და დასაქმებისთვის სახელოსნოების განთავსების მიზნით.**

საკითხის წარმომდგენის თქმით, ა(ა)იპ „იას“ სარგებლობის უფლებით უზუფრუქტის ფორმით ფლობს, გლდანის რაიონის მე-4 მიკრორაიონში მდებარე **168.54 კვ.მ.** ფართს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის პროფესიული სწავლებისთვის და დასაქმებისთვის სახელოსნოების განთავსების მიზნით, აღნიშნულ კომპანიას ესაჭიროება ზემოაღნიშნული უძრავი ქონების დამატებით გადაცემა.

აზრი გამოთქვა:

კომისიის თავმჯდომარის - ლევან ჟორჟოლიანის თქმით, მიზანშეწონილია განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლებიდან ამოღებულ იქნეს, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ **122[1] მუხლის მე-9 პუნქტი** და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **№ 19-78** დადგენილებით დამტკიცებული წესის **მე-2 მუხლის მე-13 პუნქტი.** ამასთან, თავმჯდომარის განმარტებით, სასურველია განკარგულების პროექტის პირველი პუნქტი გამართულ იქნეს ტექნიკური თვალსაზრისით.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

25. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, 26 მაისის მოედანი №2-ის მიმდებარედ არსებული **158 კვ.მ.** მიწის **ნაკვეთიდან (ს/კ: №01.10.17.036.047) 23 კვ.მ.** მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით **შპს „ფასანაური 2016“-ისთვის“ (ს/ნ: 405141029)** იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, შპს „ფასანაური 2016“-ისთვის“ ქალაქ თბილისში, 26 მაისის მოედანი №2-ის მიმდებარედ არსებული 158 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან **23 კვ.მ.** მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემას, **ღია კაფეს მოწყობის მიზნით,** შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება **2021 წლის 1 ივლისამდე**
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება **3500 (სამი ათას ხუთასი) ლარი.**

ნინო კვეტენაძემ განმარტა, რომ აღნიშნული კომპანია იჯარით ფლობს ქალაქ თბილისში, 26 მაისის მოედანი №2-ში არსებულ უძრავ ქონებას, 2021 წლის 1 ივლისამდე.

დასასრულს, **მომხსენებელმა** აღნიშნა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის პოზიციის მიხედვით, ღია კაფესთვის ინვენტარის განთავსება, არ წარმოადგენს იმ სახის მშენებლობას, რომელზეც კანონმდებლობის შესაბამისად გაიცემა ძშენებლობის ნებართვა ან წერილობითი დასტური.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

26. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი "ქალაქ თბილისში, ს. ცინცაძის ქ. №12-ის მიმდებარედ არსებული **524 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.10.17.005.036) 14 კვ.მ.** მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს **„კოფი დისტრიბიუშენ ჯორჯიასთვის"** (ს/ნ: 405283928) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, **შპს „კოფი დისტრიბიუშენ ჯორჯიასთვის"** ქალაქ თბილისში, ს. ცინცაძის ქ. №12-ის მიმდებარედ არსებული 524 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან, **14 კვ.მ.** მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემას, **ღია კაფეს მოწყობის მიზნით,** შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება **2020 წლის 3 მაისამდე;**
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება **2 100 (ორი ათას ასი) ლარი.**

ნინო კვეტენაძემ განმარტა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული კომპანია იჯარით ფლობს ქალაქ თბილისში, სულხან ცინცაძის ქ. №12-ში არსებულ უძრავ ქონებას, **2020 წლის 3 მაისამდე.**

დასასრულს, **მომხსენებელმა** აღნიშნა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა, საკითხის შემდგომი განხილვისთვის მოითხოვა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

27. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის - სსიპ ქონების მართვის სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსმა - **ნინო კვეტენაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი „ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა №7-ის მიმდებარედ არსებული **221 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.18.03.062.008) 5კვ.მ მიწის ნაკვეთის** პირდაპირი განკარგვის წესით **შპს „გალენისთვის“** (ს/ნ: 404497665) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, **შპს „გალენისთვის“** ქალაქ თბილისში, **გორგასლის ქუჩა №7-ის** მიმდებარედ არსებული **221 კვ.მ** მიწის ნაკვეთიდან **5 კვ.მ** მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემას, **ღია კაფეს მოწყობის მიზნით,** შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება **2020 წლის 1 აგვისტომდე;**
- ხოლო, საიჯარო ქირის წლიურ საფასურად განისაზღვრება **900 (ცხრაასი) ლარი.**

ნინო კვეტენაძემ განმარტა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, აღნიშნული კომპანია იჯარის უფლებით ფლობს ქ. თბილისში, სამღებროს ქ. №6-ში მდებარე 314.14 კვ.მ. ფართს, **2020 წლის 1 აგვისტომდე.**

დასასრულს, **მომხსენებელმა** აღნიშნა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის პოზიციის მიხედვით, ღია კაფის მოწყობის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა - **ლილე ლიპარტელიანმა,**

ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე **ლევან ჟორჟოლიანი**

სხდომის მდივანი **ნინო ჯალაღანია**